პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 59 (6124)
25 [illegible] 1978 წ. შაბათი.
ფასი 3 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## უდიდესი ინტერესით

•

### საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტის (ძირითადი კანონი) საყოველთაო-სახალხო განხილვა

მუხლი 39. საქართველოს სსრ მოქალაქეებს აქვთ დასვენების უფლება.

ამ უფლებას უზრუნველყოფს მუშა-მოსამსახურეთათვის არა უმეტეს 41-საათიანი სამუშაო კვირის დაწესება და მთელი რიგი პროფესიებისა და წარმოებებისათვის დადგენილი შემცირებული სამუშაო დღე, ღამით მუშაობის შემცირებული ხანგრძლივობა; ყოველწლიური ფასიანი შვებულებების მიცემა, ყოველკვირეული დასვენების დღეები, აგრეთვე, კულტურულ-საგანმანათლებლო და გამაჯანსაღებელ დაწესებულებათა ქსელის გაფართოება, მასობრივი სპორტის, ფიზიკური კულტურისა და ტურიზმის განვითარება; საცხოვრებელ ადგილზე დასვენების ხელშემწყობი შესაძლებლობებისა და თავისუფალი დროის რაციონალურად გამოყენების სხვა პირობების შექმნა.

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტიდან.





გუშინ გამოქვეყნდა საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის (ძირითადი კანონი) პროექტი.

პროექტში გამოცხადებულია საქართველოს სსრ მოქალაქეთა ძირითადი უფლებანი და პოლიტიკური თავისუფლებანი, მათი მოვალეობანი, რომლებიც ახალი შინაარსით გამდიდრდა და რესპუბლიკის ამჟამად მოქმედ კონსტიტუციასთან შედარებით უფრო მაღალ საფეხურზე ავიდა ჩვენი საზოგადოების მიღწეული განვითარების შესაბამისად.

საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტში ასახულია რესპუბლიკის განვითარების ეროვნული და სხვა თავისებურებანი. აი, სწორედ ამიტომაა, რომ ახალი კონსტიტუციის პროექტმა რესპუბლიკის ყველა მშრომელის პოლიტიკური აქტივობა, ენთუზიაზმი და შრომითი აღმავლობა გამოიწვია. საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტი საყოველთაო-სახალხო განხილვის საგანი გახდა ყველგან — ფაბრიკებსა თუ ქარხნებში, კოლმეურნეობებსა თუ საბჭოთა მეურნეობებში, სკოლებსა თუ უმაღლეს სასწავლებლებში.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის განხილვა მასების შრომითი და პოლიტიკური აქტივობის შემდგომი ამაღლების, სკკპ XXV ყრილობის ისტორიული გადაწყვეტილებების, მეათე ხუთწლედისა და მისი მესამე წლის ამოცანების განხორციელებისთვის საერთო-სახალხო ბრძოლის კიდევ ერთი დიდმნიშვნელოვანი სტიმულია.

**სურათებზე:** საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტები ეცნობიან საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს; „განთიადის" ცენტრალური საბჭოს თანამშრომლები მსჯელობენ საქართველოს ახალი კონსტიტუციის პროექტის შესახებ.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

## სსრ კავშირის თასზე



•

### მერვედფინალში გავიდნენ

სსრ კავშირის თასის წლევანდელ გათამაშებაში საინტერესო ამბავი მოხდა: II ლიგის საკავშირო გათამაშების II ზონიდან (უკრაინის ზონა) მეთექვსმეტედფინალში გავიდა 3 გუნდი, რომლებმაც აქ მარშან პირველი სამი ადგილი დაიკავეს. ესენია: ასკ (ოდესა), ასკ (კიევი) და „კოლოსი" (ნიკოპოლი). ამ სამიდან წილისყრამ ერთ-ერთი მათგანი შეახვედრა თბილისის „დინამოს" — ნიკოპოლის „კოლოსი". უმაღლესი და II ლიგების წარმომადგენელთა პირველი მატჩი თასზე ნიკოპოლში, როგორც ცნობილია, დამთავრდა ფრედ — 1:1.

გუშინ თბილისის ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს" სტადიონზე გაიმართა თბილისის „დინამოსა" და ნიკოპოლის „კოლოსის" განმეორებითი მეთექვსმეტედფინალური მატჩი.

შეხვედრა მოიგეს დინამოელებმა ანგარიშით 2:1 და გავიდნენ თასის გათამაშების მერვედფინალში.

## გროდნოში და დაუგავპილსში

### ძიდაობა

გროდნოში დასრულდა სსრ კავშირის პირველობა ძიუდოში ახალგაზრდებს შორის. ასპარეზობაზე ორი გუნდით იყო წარმოდგენილი ჩვენი რესპუბლიკის ნაკრები, ასევე ორ-ორი გუნდი გამოიყვანეს რუსეთის, უკრაინისა და მოლდავეთის მოჭიდავეებმა. სამი შემადგენლობით ჩაერთო შეჯიბრებაში მასპინძელთა — ბელორუსელ სპორტსმენთა კოლექტივი.

აბსოლუტურ წონით კატეგორიაში შარშანდელი წარმატება გაიმეორა და ოქროს მედალი მოიპოვა ბურევესტნიკელმა თ. დონდუაშვილმა. თემურმა მძიმე წონაშიც იასპარეზა და მეორე საპრიზო ადგილზე გავიდა. კიდევ ერთი ვერცხლის მედალი წილად ხვდა სპარტაკელ გ. ნაკანს (60 კგ).

III საპრიზო ადგილზე გავიდნენ — გ. გაგლოშვილი (78 კგ. „სპარტაკი"), გ. კოხოძე (95 კგ. „დინამო") და მ. პაიჭაძე (მძიმე, „განთიადი").

გუნდური I ადგილი რუსეთის ნაკრებს ხვდა, II — საქართველოს, III — მოლდავეთს.

აღსანიშნავია, რომ სპორტსაზოგადოება „სპარტაკს", რომელიც V ადგილზე გავიდა, ჩასათვლელი ქულები მხოლოდ ქართველმა ფალავნებმა მისცეს. ისე კი ასპარეზობის ჩემპიონი „დინამო" გახდა.

დაუგავპილსში 4 დღეს გრძელდებოდა სსრ კავშირის პირველობა თავისუფალ ჭიდაობაში ახალგაზრდებს შორის. შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ მოსკოვის, ლენინგრადისა და მოკავშირე რესპუბლიკების გუნდები. საქართველო ამ შეჯიბრებაზე წარდგენილი იყო 23 მოჭიდავით, რომლებიც ასპარეზობდნენ 8 წონით კატეგორიაში. აღსანიშნავია, რომ მათგან ხუთმა საპრიზო ადგილი მოიპოვა.

მძიმე წონაში თავი ისახელა ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა ნ. ბეკურაშვილმა („სპარტაკი", თბილისი, მწვრთნელი მ. ოსიყმაშვილი). ეს მისი მეორე ოქროს მედალია ამგვარ ასპარეზობაში. პირველ წრეში მან სუფთად დაამარცხა თავისი მთავარი კონკურენტი ორჯონიკიძელი კალოევი, შემდეგ კი დანარჩენი მოწინააღმდეგეებიც.

ამავე წონაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა ფიზკულტურის ინსტიტუტის III კურსის სტუდენტმა ზ. ამლოხაშვილმა („ბურევესტნიკი" თბილისი, მწვრთნელები გ. ბასიაშვილი და გ. როსტიაშვილი), რომელმაც ფინალამდე ყველა შეხვედრა მოიგო, იქ კი ტრავმის გამო ველარ გააგრძელა ასპარეზობა.

90 კგ წონით კატეგორიაში ფიზკულტურის ინსტიტუტის I კურსის სტუდენტმა ვ. გელაშვილმა („განთიადი", თბილისი, მწვრთნელი ო. შოშიტაშვილი) ფინალამდე 6 შეხვედრა მოიგო, აქედან 5 წმინდად. ფინალში კი მარცხი განიცადა უფრო გამოცდილ მოსკოველ ს. ოგანესიანთან და ვერცხლის მედალს დასჯერდა. 74 კგ წონით კატეგორიაში ჩემპიონობის რეალური პრეტენდენტი იყო სოხუმის განთიადელი ზ. კუჩუხერია (მწვრთნელი ბ. ჩოლოკუა). სპორტსმენის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მენისკის ოპერაციის შემდეგ პირველად იასპარეზა ასეთი მაღალი რანგის შეჯიბრებაზე და საკმაოდ წარმატებითაც. მან ზედიზედ დაამარცხა ექვსი მოწინააღმდეგე და ფინალში გავიდა უკრაინელ ა. პოლომოროვთან და ბელორუს ვ. ვოლოშოვთან ერთად. აქ ჯერ პოლომოროვს მოუგო წმინდად, მერე ვოლოშოვთან თითქმის მთელი 9 წუთის განმავლობაში ტრავმირებული ასპარეზობდა. ბოლო წუთზე ფანდის ჩატარების დროს ზურაბმა მოიპოვა 2 მომგებიანი ქულა. ამ დროს გონგმაც მოუსწრო. მსაჯებმა ერთხანს ითათბირეს, საბოლოოდ ილეთი არ შეფასდა და ორთაბრძოლაც ვოლოშოვის სასარგებლოდ 9:8 დამთავრდა. 100 კგ. წონით კატეგორიაში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა უნივერსიტეტის I კურსის სტუდენტმა ზ. ვარდოშვილმა („ბურევესტნიკი", თბილისი, მწვრთნელი გ. როსტიაშვილი).

არაოფიციალურ გუნდურ ჩათვლაში პირველი ადგილი დაიკავა რსფსრ-ს გუნდმა, მეორეა — საქართველოს (მწვრთნელები ნ. გაჩეჩილაძე, მ. ოსიყმაშვილი, გ. როსტიაშვილი, ო. შოშიტაშვილი, ზ. შეყრილაძე და ვ. მარშანია), მესამე — ბელორუსიის ნაკრები.

## ჯილდო მესამედ და პირველად...

**დამთავრდა** სამთო-მოთხილამურეთა მსოფლიო თასების მორიგი გათამაშება. ბოლოსწინა ეტაპზე მთავარი პრიზების მაძიებლებმა ამერიკიდან ისევ ევროპაში გადმოინაცვლეს და ალპებში გამართეს ტურნირი.

ბადკლაინკირჰაიმის (ავსტრია) მიდამოებში ქალები სწრაფდაშვებაში ცდიდნენ ძალას. 2894-მეტრიან ტრასაზე უძლიერესი გამოდგა მსოფლიოს ჩემპიონი ა. მოზერ-პროლი (ავსტრია) — 1.49,71.

ვაჟები ამავე სახეობაში შვეიცარიაში ლააკსეს მიდამოებში 3400-მეტრიან ტრასაზე ორჯერ ეშვებოდნენ. პირველ დაშვებაში მასპინძელმა უ. შპისმა იმარჯვა — 1.57,96 (აქ საბჭოთა სპორტსმენებმა შემდეგი ადგილები მოიპოვეს: ვ. მაკეევმა — მე-20, ვ. ციგანოვმა — 46-ე, ხოლო ს. ნაზაროვმა — 47-ე).

მეორე ცდა ოლიმპიურმა ჩემპიონმა ფ. კლამერმა მოიგო — 1.55,76.

უკანასკნელი სტარტები შვეიცარიის კურორტ აროზას მიდამოებში ჩატარდა. მართალია, მანამდე შვედ ი. სტენმარკს უკვე გაწაღებული ჰქონდა თასი, მაგრამ მან აქ გიგანტურ სლალომში გამარჯვებით ერთხელ კიდევ ცხადყო, რომ ბოლო სამი წელია სამთომოთხილამურე ვაჟთა შორის ბადალი არ ჰყავს. სტენმარკმა თასი მესამედ მოიგო. მასვე ხვდა წილად უძლიერესის სახელი სლალომსა და გიგანტურ სლალომში. ამ სახეობებში მან 15 სტარტიდან შვიდში იმარჯვა.

ქალთა შორის მსოფლიო თასის მფლობელი პირველად გახდა 19 წლის ჰ. ვენცელი (ლიხტენშტეინი).

## ჭადრაკი

### ნონა გაფრინდაშვილის ახალი გამარჯვება

ბელგრადში (იუგოსლავია) დამთავრდა 8 მარტისადმი მიძღვნილი ქალთა ტრადიციული, XIV საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც 7 ქვეყნის 13 ცნობილი დიდოსტატი და ოსტატი მონაწილეობდა.

ტურნირში I ადგილი დაიკავა მსოფლიოს ხუთგზის ჩემპიონმა, დიდოსტატმა ნ. გაფრინდაშვილმა, რომელმაც 9,5 ქულა მოაგროვა 12 შეხვედრაში, დასკვნით, XIII ტურში ქართველმა მოჭადრაკემ დაამარცხა იუგოსლაველი დიდოსტატი ტ. შტადლერი.

II ადგილზეა უნგრელი საერთაშორისო ოსტატი მ. ივანკა (9 ქულა), რომელმაც დასკვნით შეხვედრაში სძლია საერთაშორისო ოსტატ ა. პიჰაილიჩს (იუგოსლავია).

# სპორტული ბაზების მშენებლობა — № 1 პრობლემა

**სახალხო** დეპუტატების თბილისის საქალაქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარე ბ. ლობჟანიძე, მისი მოადგილე ქ. მეგრელიშვილი და პარტიის თბილისის საქალაქო კომიტეტის მდივანი გ. გაბუნია მშენებლობის ოპერატიული შტაბის მორიგი სხდომის დამთავრებისთანავე აუზს ეწვივნენ.

აუზის ტექნიკურმა დირექტორმა, რომელიც ამავე დროს კაპიტალური მშენებლობის სამმართველოს ზედამხედველის როლსაც ასრულებს, შტაბის სხდომაზე განაცხადა, რომ მშენებლობის ხარისხში ყველაფერი წესრიგში არაა და ფაქტებიც მოიშველია. სწორედ ეს გახდა ქალაქის ხელმძღვანელებისა და სპეციალისტების მიერ მშენებლობის ყველა უბნის კიდევ ერთხელ გულმოდგინედ დათვალიერების მიზეზი.

რპუსში, დარბაზებში, ფოიეში, სარდაფებში, იატაკზე, ჭერზე... მართალია, ალაგ-ალაგ, მაგრამ ერთად იმდენი გროვდება, რომ მათი გამოსწორება გვარიან შრომას მოითხოვს. სამწუხაროდ, ზოგი მათგანის მთლიანად აღმოფხვრა არც ხერხდება.

უხარისხოდ მუშაობის ერთეული შემთხვევები ქვემოიჯარეებსაც ჰქონდათ. სწორედ ამიტომ იყო, რომ ამ ბაზის პროექტის ავტორმა დახურულ აუზში გაკეთებული კაფელის საგრძნობი ნაწილი ჩამოახსნევინა.

ღია 25-მეტრიან აუზში ტორკრეტირება დამთავრდა. რამდენიმე დღეა გამოსაცდელად იგი წყლით აავსეს.

მშენებლობის მთავარ უბნად მაინც აუზის მარცხენა მხარე რჩება, სადაც „ინჟმშენის“ № 1 სამ-

იმავე დროს ადგილზე ქალაქის საბჭოს სარემონტო ტრესტის მხოლოდ 3 მუშა ვნახეთ. მათგან ერთი პრესკორპუსის კედლის მოპირკეთებაზე საქმიანობდა, ორი შინისაკენ წასასვლელად უკვე „სტარტზე იდგა“, ამ დღეს ამ უბანზე ექვს ოსტატს უმუშავია. სულ კი 20 მარტს ტრესტის 54 მუშის საქმიანობაა აღრიცხული.

ახლა, როცა ობიექტის ყველა უბანზე ყოველი წუთი ძვირფასია, თუნდაც 50 მუშის (აქ ხომ ყოველდღე 230-240 კაცი შრომობს) მიერ საქმის ნახევარი საათით ადრე მიტოვება სამ კაცდღეს უდრის. ეს ცოტა როდია.

როცა ქვემოიჯარეებს შტაბის სხდომაზე გეგმების შეუსრულებლობას საყვედურობენ, ბევრი მასალების მოუმარაგებლობას, ფრონტის უქონლობას იმიზეზებს, ზემო-

(64), ვაჭრობის სამმართველოს მშენებლები (55,5), ტრესტ „ინჟმშენის“ № 1 სამშენებლო-სამონტაჟო სამმართველომ პირველიდან მეხუთე ადგილზე გადაინაცვლა. რატომ?

შეფერხება არმატურისთვის ლითონის უქონლობას გამოუწვევია. ეს ნაკლი გამოსწორებულია, მაგრამ ინჟმშენელთა გარღვევა ქალაქის საბჭოს რემმშენისა და საქსპორტმშენის უბნების შეფერხებასაც იწვევს, რადგან აუზის მარცხენა მხრის კეთილმოწყობის სამუშაოების მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ამ ორგანიზაციების გეგმაში შედის, მათ კი იქ ჯერჯერობით არაფრის გაკეთება არ შეუძლიათ.

— სპორტმშენს სანტექნიკებიც ხელს უშლიან. მაგალითად, კაცების საშხაპეებში ბევრი რამ აქვთ გასაკეთებელი. მოჭიქული ფილებიც უხარისხოა და ოსტატებს მის გადარჩევაში, დახარისხებაში დრო ეკარგებათ, — განმარტა საქართველოს სპორტკომიტეტის თავმჯდომარის მოადგილემ ნ. ებრალიძემ.

„ლელოს“ საგუშაგო

თბილისის საცურაო აუზი

## ნახევარი საათის ფასი

მშენებლების, განსაკუთრებით მოიჯარის ნამუშევარს ზოგან მართლაც აზის დაუდევრობის ბეჭედი. ეს ხარვეზები შეიძლებოდა თავიდან დროზე აგვეცილებინა, მაგრამ ახლა ნაკლოვანებების გამოსწორება თვით მოიჯარეს ან ქვემოიჯარე ორგანიზაციებს უხდებათ, რაც დამატებით შრომასა და ხარჯებს იწვევს.

ყველაზე დიდმა ხარვეზმა 50-მეტრიან აბაზანაში იჩინა თავი, როცა საქმე მის ტორკრეტირებაზე მიდგა და აბაზანის სიგრძე-სიგანე გაზომეს, გაირკვა, რომ მშენებლებს სტანდარტები არ დაუცავთ. აბაზანაში ტორკრეტისა და კაფელის სამუშაოების შემდეგ 50 მეტრი აღარ რჩებოდა და, მაშასადამე, საასპარეზოდ იგი უვარგისი ხდებოდა (რადგან რეკორდად არ დამტკიცდება შედეგი, რომელიც ისეთ აუზშია ნაჩვენები, თუნდაც 1 სანტიმეტრი რომ აკლია, ამავე მიზეზით საკავშირო, საერთაშორისო შეჯიბრებების ჩატარება საერთოდ გამორიცხულია).

და აი, აგერ უკვე მერამდენე დღეა აუზის კედლებს კომპრესორებით ზედმეტ სისქეს აჭრიან...

ასეთი უზუსტობანი, დაუმთავრებელი საქმე აღმოჩნდა პრესკო-

შენებლო-სამონტაჟო სამმართველოს უკანასკნელი კედელი და წყალში სახტომი ამოყავს. აქ რკინაბეტონზე მუშაობენ. ყოველდღიურად ერთიცა და მეორეც მაღლა მიიწევს.

სარდაფებში, სართულებზე, დარბაზებში, გასახდელებსა და საშხაპეებში, კაბინეტებში ყოველდღიურად მრეწვკავშირმონტაჟის, ვაჭრობის სამმართველოს, სანტექმონტაჟის, ჯანმრთელობის დაცვის სამინისტროს სამშენებლო სამმართველოს, საქსპორტმშენისა და სხვათა სპეციალისტები ერთი შეხედვით მუხლმოუდრელად საქმიანობენ...

დღის საათებში შრომა, რომ იტყვიან, დუღს და გადმოდუღს, გულს უხარია, ბაზა თვალსაჩინოდ რომ უახლოვდება საბოლოო სახეს, მაგრამ საღამოობით, ხუთი საათის მერე ბევრ უბანზე ტემპი საგრძნობლად ეცემა. აშკარაა, მუშების ნაწილი შინისკენ ვადაზე ადრე მიეშურება. მაგალითად, 20 მარტს პრომვენტილაციის სპეციალისტებს ექვსის ნახევარზე აქ ველარ ნახავდით, არა და, მშენებლობაზე ქვემოიჯარე ორგანიზაციების მიერ გეგმების შეუსრულებლობაში პრომვენტილაციასაც ადანაშაულებენ.

აღნიშნულ „წვრილმანებზე“ კი არავინ ლაპარაკობს, არა და, სპეციალისტების რიცხვი საკმაოდ მერყეობს: ერთ დღეს 247 კაცი რომ გამოცხადდა, მეორე დღეს 227 კაცი მოვიდა სამუშაოდ, მესამე დღეს — 212... აი, ამაშიც უნდა ვეძებოთ მიზეზები, რომ მშენებლობაზე 18 მარტისთვის 128 ათასი მანეთის საქმე იყო შეუსრულებელი.

რაკი სიტყვა გეგმაზე ჩამოვარდა, ვიტყვით, რომ უკანასკნელ კვირაში (იმავე 18 მარტისთვის) საქსპორტმშენის უბანმა დავალება 150 პროცენტით გაანაღდა. კვირის გეგმას ქალაქის საბჭოს სარემონტო ტრესტმაც გადააჭარბა. მაგრამ ახლა სხვებს ჰქონდათ გარღვევა. მაგალითად, ვაჭრობის სამმართველოს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს ოსტატებმა 12-ის მაგიერ 7,8 ათასი მანეთის საქმის გაკეთება მოახერხეს.

თუ სამუშაოთა მიმდინარეობის მთლიან გრაფიკს გადავხედავთ, ვნახავთ, რომ პირადი საერთო გეგმის შესრულების ყველაზე კარგი მდგომარეობა აქვთ ჯანმრთელობის სამინისტროს სამშენებლო-სარემონტო სამმართველოს (მთლიანი დავალების 67,1 პროცენტი), შემდეგ მოდიან მრეწვკავშირმონტაჟი

ახლა აუზზე სწრაფი ტემპით მიმდინარეობს საიზოლაციო სამუშაოები (აქამდე ქვემოიჯარეებს ესეც აფერხებდა).

— კვლავ მინდა დავუბრუნდე ობიექტზე სპორტსმენთა საცხოვრებლების მოწყობის საკითხს, — გვეუბნება ვ. გოიაშვილი, — ეს პოზიცია თავდაპირველ პროექტში, რა თქმა უნდა, არ ყოფილა, მაგრამ შემდეგ პროექტის ავტორმა შოთა ყავლაშვილმა ჩვენი მოთხოვნით არაოფიციალურად შესწორება შეიტანა. ერთხანს დამკვეთიც თანახმა იყო, მაგრამ აუზის საპირველმაისოდ ჩაბარების ვადა რომ არ დარღვეულიყო, თავი ისევ შეიკავეს. 65-ადგილიანი საცხოვრებლის მოწყობა, რაც რამდენიმე ათასი მანეთი ჯდება, ხელს დიდად შეუწყობდა ოლიმპიური რეზერვის და საერთოდ, სპორტსმენთა ოსტატობის სრულყოფას. ეს საკითხი უმჯობესია ახლავე გადაწყდეს. ობიექტის საექსპლოატაციოდ გადაცემის შემდეგ, მისი რეკონსტრუქციის მარკით სპორტსმენთა საცხოვრებლის მოწყობა უფრო მეტ ხარჯსაც გამოიწვევს და უკვე შესრულებული სამუშაოს ხარისხზეც იმოქმედებს.

ამას ისიც მალაპარაკებს, რომ ობიექტი სამეურნეო ანგარიშზე უნდა იყოს. სასტუმრო კი წყალს მის წისქვილზე დაასხამდა...

**ო. გელაშვილი.**

## ძალოსნობა

# მონდომებით ემზადებიან





**დარბაზში** ხმაურია. ისმის შეძახილები, ფიცარნაგზე დაცემული შტანგის გამაყრუებელი ხმა — საქართველოს ძალოსანთა ახალგაზრდულ ნაკრებს სასწავლო-საწვრთნელი შეკრება აქვს თბილისში, 28 მარტიდან 3 აპრილამდე კი ლიპეცკში სსრ კავშირის პირად-გუნდურ ჩეიპიონატში მიიღებს მონაწილეობას.

მინსკში გამართულ II ახალგაზრდულ თამაშებში ჩვენმა გუნდმა მეხუთე ადგილი დაიკავა, ჩამოიტანეს ოქროც, ვერცხლიც, და ბრინჯაოც, მაგრამ მომავალ ჩემპიონატში მეხუთე ადგილის შენარჩუნება გაძნელდება, რადგან რსფსრ და უკრაინა ორ-ორი მეტად ძლიერი გუნდებით იასპარეზებენ.

კვლავაც მონდომებით ვარჯიშობენ მინსკის ახალგაზრდული თამაშების ოქროს და ვერცხლის პრიზიორები ნუგზარ პაპიძე და ბიჭიკო ჩიოტაშვილი, ხოლო ბრინჯაოს მედლის მფლობელი, საქართველოს რეკორდსმენი მძიმე წონოსანი ზურაბ ნადირაშვილი ვარჯიშისადმი უპასუხისმგებლო დამოკიდებულების გამო ნაკრებში ვერ მოხვდა, რაც მეტად დამაფიქრებელია.

გუნდი იმედს ამყარებს ა. ჭიტაძეზეც, რომელიც მხოლოდ ორი წელია რაც ვარჯიშობს და უკვე დაამყარა საქართველოს რეკორდი — თებერვალში ცხინვალში გამართულ საქართველოს ჩემპიონატზე 125,5 კილოგრამი აიტაცა.

გუნდის ხელმძღვანელობას ბევრი პრობლემა აქვს გადასაჭრელი — ჩვენი ნაკრები, ყველა სხვა რესპუბლიკის ნაკრებებისაგან განსხვავებით, რეზინის შტანგების უქონლობის გამო ჯერ კიდევ რკინის იარაღებით ვარჯიშობს, მაშინ, როდესაც ყველა ფართო მასშტაბის შეჯიბრება სწორედ რეზინის შტანგებით ტარდება, რაც შეუჩვეველი სპორტსმენის შედეგებზე უარყოფით გავლენას ახდენს.

დამაფიქრებელია ისიც, რომ ძალოსნობაში ვარჯიშს იწყებენ უკვე მოზრდილი ჭაბუკები, რომლებიც ველარ ასწრებენ მთელ შესაძლებლობათა სრულყოფილად გამოვლენას.

„რატომღაც გავრცელებულია მცდარი აზრი, — გვითხრა საქართველოს ძალოსანთა ახალგაზრდული ნაკრების უფროსმა მწვრთნელმა რამაზ გურგენიძემ, — თითქოს ადრეული სპეციალიზაცია უარყოფითად მოქმედებდეს მოზარდის ფიზიკურ განვითარებაზე, მაგრამ ვარჯიშის სწორად წარმართვის შემთხვევაში, როდესაც არ ხდება ძლიერი გადატვირთვა, მოზარდის ფიზიკური განვითარების ყოველგვარი დამახინჯება გამორიცხულია.

გარდა ამისა, ფიზიკურად ძლიერი მოზარდები უმეტესად რაიონებში ცხოვრობენ, სადაც ვარჯიშისათვის თითქმის არავითარი პირობები არ არსებობს. თუმცა პერიფერიებზე რა ვთქვათ, როდესაც მთელ რესპუბლიკაში მხოლოდ სამ-ოთხ ქალაქშია შესაძლებელი ფართო მასშტაბის ძალოსნური შეჯიბრებების ჩატარება. თვით თბილისსაც ჯერჯერობით ძალოსნობის ნორმალური დარბაზი არ გააჩნია. ვ. ი. ლენინის სახელობის სპორტდარბაზი ხშირადაა გადატვირთული და სპორტსმენებს საწვრთნელ დარბაზშივე უხდებათ შეჯიბრებაზე გამოსვლა...

ხმაურია საწვრთნელ დარბაზში, ვარჯიშობენ სპორტსმენები, ემზადებიან საპასუხისმგებლო ასპარეზობისთვის...

**ვ. სამადაძე.**

• • •

ს უ რ ა თ ე ბ ზ ე: ნ. პაპიძე და მწვრთნელი შ. წერეთელი მორიგ ვარჯიშზე; ა. ჭიტაძე წვრთნისას.

ე. ხუცურაულის ფოტოები.

## წყალბურთი

# გულშემატკივრებს ელიან

ვაკის საცურაო აუზში ხუთ დღეს მიმდინარეობდა 1960-1962 წლებში დაბადებულ წყალბურთელთა რესპუბლიკური პირველობა.

შეჯიბრებაში მონაწილეობდნენ: თბილისის „დინამო“, „ლოკომოტივი“, განათლების განყოფილების გუნდი, აგრეთვე, სოხუმის „დინამო“, ბათუმისა და ქუთაისის „გამთიადი“.

საქართველოს ნაკრების ძირითად ბირთვს რომ თბილისელი სპორტსმენები შეადგენენ, ეს კიდევ ერთხელ დაადასტურა ამ ასპარეზობამ — ყველა საპრიზო ადგილი სწორედ თბილისელებმა დაიკავეს. 10 ქულით პირველი იყო „დინამო“, 7 ქულით II ადგილი დაიკავა განათლების განყოფილების გუნდმა, ხოლო III — „ლოკომოტივმა“ (5).

თბილისის „დინამოსა“ და განათლების განყოფილების წყალბურთელთა შეხვედრა ყველაზე დაძაბული და საინტერესო გამოდგა. სამი პერიოდის მანძილზე თამაში გარდამავალი უპირატესობით მიმდინარეობდა და მხოლოდ მეოთხე, უკანასკნელ პერიოდში შეძლეს დინამოელებმა ძალების სრული მობილიზება და წარმატების მიღწევა — 10:6.

* * *

როგორც საქართველოს სპორტკომიტეტის საწყლოსნო სახეობების უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა მ. ქართველიშვილმა გვითხრა, პირველობამ ბევრი ნიჭიერი სპორტსმენი გამოავლინა. მაგალითად, ქუთაისელები ე. გორგოძე, გ. კვანტალიანი, გ. გიორგაძე, თბილისელი გ. მარგველაშვილი, ბათუმელები ვ. ინვენტაკე, ი. ვოლკოვი და სხვ.

შეჯიბრებაში განსაკუთრებით გამოირჩეოდნენ თბილისელი დინამოელები, საქართველოს ნაკრები გუნდის წევრები, ტყუპი ძმები ზურაბ და დათო ივანიშვილები. ორივემ ერთად 25 ბურთი გაიტანა მეტოქის კარში (ზურაბმა — 14, დათომ — 11), რაც უთუოდ მათ მზარდ ოსტატობაზე მეტყველებს.

ერთობ სუსტად იასპარეზა სოხუმის „დინამომ“, რომელმაც ყველა შეხვედრა წააგო და უკანასკნელი ადგილი დაიკავა. როგორც სოხუმელთა უფროს მწვრთნელთან საუბარში გაირკვა, გუნდის ასეთ წარუმატებელ გამოსვლას გარკვეული ობიექტური მიზეზი ჰქონია — სექტემბრიდან ხეირიანად ერთი ვარჯიშიც კი არ ჩაუტარებიათ, რადგან საცურაო აუზში გათბობა არა აქვთ. სოხუმელთა გუნდი თბილისში მხოლოდ იმისთვის ჩამოვიდა, რომ შესაძლებლობა ჰქონოდა ნორმალურ პირობებში ევარჯიშა.

რამდენიმე სიტყვა შეჯიბრების ორგანიზაციის შესახებ. ასპარეზობა მაღალ დონეზე ჩატარდა. შეჯიბრების მთავარმა მსაჯმა, საქართველოს ნაკრები გუნდის უფროსმა მწვრთნელმა, სპორტის ოსტატმა ბ. მარგიევმა ყველაფერი გააკეთა იმისთვის, რომ მსაჯობა მაღალ დონეზე ყოფილიყო. მიაღწია კიდეც საწადელს.

სპორტის ნებისმიერ სახეობაში, მათ შორის წყალბურთში შეჯიბრებასაც გულშემატკივრებით სავსე ტრიბუნები ამშვენებს. მაგრამ, სამწუხაროდ, პირველობას მხოლოდ მონაწილე გუნდების მწვრთნელები და სპორტსმენების ახლობლები ესწრებოდნენ.

ჭაბუკთა საკავშირო შეჯიბრებაზე, რომელიც დღეს ამავე აუზში დაიწყება, ჩვენი წყალბურთელები ელიან გულშემატკივრებს, რომლებიც აქტიური მხარდაჭერით გაამხნევებენ საყვარელ გუნდს.

**ა. ბესტავაშვილი,**
**ნ. ბარდაველიძე.**

## ფარიკაობა

# სამატჩო შეხვედრა

ქუთაისის ელექტრომექანიკური ქარხნის სპორტულ დარბაზში გაიმართ აჭარის, წყალტუბოს და ქუთაისის მოსწავლეთა ნაკრები კოლექტივების სამატჩო შეხვედრა ფარიკაობაში.

ცალკეული იარაღების მიხედვით გაიმარჯვეს: მ. იმედაშვილმა (რაპირა — ქალები), ვ. ნებიერიძემ (დაშნა), ხუჯაძემ (ხმალი, სამივე — ქუთაისი) და ზ. ტაკიძემ (რაპირა, ბათუმი). გუნდური ადგილები ასე განაწილდა: ქუთაისი, აჭარა, წყალტუბო.

**თ. ქიქავა.**

## სსრ კავშირის ჩემპიონატი

●

## I წრე

# კალენდარი

### აპრილი

8. „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) — „დინამო“ (მოსკოვი), „ქაირათი“ (ალმა-ათა) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი), „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — ცსკა, „არარატი“ (ერევანი) — „ზენიტი“ (ლენინგრადი), „ნეფთჩი“ (ბაქო) — „ტორპედო“ (მოსკოვი), „დინამო“ (თბილისი) — „სპარტაკი“ მოსკოვი), „ჩერნომორეცი“ (ოდესა) — „დინამო“ (კიევი), „შახტიორი“ (დონეცკი) — „ზარია“ (ვოროშილოვგრადი).

12. „ქაირათი“ — ცსკა, „ფახთაქორი“ — „ლოკომოტივი“, „არარატი“ — „ტორპედო“, „ნეფთჩი“ — „ზენიტი“, „დინამო“ თბ. — „დინამო“ კ., „ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“, „დნეპრი“ — „ზარია“.

20. „ლოკომოტივი“ — „ნეფთჩი“.

21. „ტორპედო“ — „ქაირათი“.

22. „ზარია“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ კ. — „შახტიორი“, „სპარტაკი“ — „დნეპრი“, „ზენიტი“ — „ფახთაქორი“.

23. ცსკა — „არარატი“.

24. „დინამო“ მ. — „დინამო“ თბ.

26. „ტორპედო“ — „ზენიტი“.

27. ცსკა — „ლოკომოტივი“, „შახტიორი“ — „დნეპრი“, „არარატი“ — „ნეფთჩი“, „ქაირათი“ — „ფახთაქორი“.

28. „დინამო თბ. — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ კ. — „სპარტაკი“, „დინამო“ მ. — „ზარია“.

### მაისი

2. „ფახთაქორი“ — „არარატი“, „ნეფთჩი“ — „ქაირათი“, „ჩერნომორეცი“ — „შახტიორი“, „დნეპრი“ — „დინამო“ თბ., „ზარია“ — „დინამო“ კ., „ლოკომოტივი“ — „ტორპედო“, „ზენიტი“ — ცსკა.

7. „ნეფთჩი“ — „შახტიორი“, „ტორპედო“ — „სპარტაკი“.

8. „დინამო“ მ. — „ლოკომოტივი“.

9. „ფახთაქორი“ — „დინამო“ თბ., „ჩერნომორეცი“ — „ქაირათი“, „დნეპრი“ — „არარატი“, „დინამო“ კ. — „ზენიტი“, ცსკა — „ზარია“.

18. „ქაირათი“ — „დნეპრი“, „არარატი“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ თბ. — „ნეფთჩი“, „შახტიორი“ — „ფახთაქორი“, „ზარია“ — „ტორპედო“, „ლოკომოტივი“ — „დინამო“ კ., „ზენიტი“ — „დინამო“ მ.

19. „სპარტაკი“ — ცსკა.

22. „ლოკომოტივი“ — „ზენიტი“.

23. „არარატი“ — „ქაირათი“, „ნეფთჩი“ — „ფახთაქორი“. „დინამო“ თბ. — „შახტიორი“, „ჩერნომორეცი“ — „დნეპრი“, „ზარია“ — „სპარტაკი“, ცსკა — „ტორპედო“.

24. „დინამო“ მ. — „დინამო“ კ.

28. „ქაირათი“ — „დინამო“ თბ., „ფახთაქორი“ — „ჩერნომორეცი“, „შახტიორი“ — „არარატი“, „დნეპრი“ — „ნეფთჩი“, „სპარტაკი“ — „ლოკომოტივი“, „ზენიტი“ — „ზარია“.

29. „დინამო“ კ. — ცსკა, „ტორპედო“ — „დინამო“ მ.

### ივნისი

1. „ლოკომოტივი“ — „დნეპრი“.

2. „ტორპედო“ — „დინამო“ თბ.

3. „ქაირათი“ — „დინამო“ მ., „ფახთაქორი“ — „ზარია“, „არარატი“ — „დინამო“ კ., „ნეფთჩი“ — „სპარტაკი“, ცსკა — „შახტიორი“, „ზენიტი“ — „ჩერნომორეცი“.

11. „დინამო“ თბ. — „ზენიტი“, „ჩერნომორეცი“ — „ტორპედო“, „შახტიორი“ — „ლოკომოტივი“, „დნეპრი“ — ცსკა, „ზარია“ — „ქაირათი“, „დინამო“ კ. — „ნეფთჩი“, „სპარტაკი“ — „არარატი“.

12. „დინამო“ მ — „ფახთაქორი“.

16. „ტორპედო“ — „ფახთაქორი“.

17. „ქაირათი“ — „შახტიორი“, „არარატი“ — „დინამო“ თბ., „ზარია“ — „ლოკომოტივი“, „დინამო“ კ. — „დნეპრი“, „დინამო“ მ. — „ჩერნომორეცი“, „ზენიტი“ — „სპარტაკი“.

18. ცსკა — „ნეფთჩი“.

25. „ლოკომოტივი“ — „ჩერნომორეცი“.

26. „ქაირათი“ — „დინამო“ კ., „ფახთაქორი“ — „სპარტაკი“, „არარატი“ — „დინამო“ მ., „ნეფთჩი“ — „ზარია“, ზენიტი“ — „დნეპრი“, „ტორპედო“ — „შახტიორი“.

27. ცსკა — „დინამო“ თბ.

30. „სპარტაკი“ — „ქაირათი“.

### ივლისი

1. „დინამო“ თბ. — „ლოკომოტივი“, „შახტიორი“ — „ზენიტი“, „დნეპრი“ — „ტორპედო“, „ზარია“ — „არარატი“, „დინამო“ კ. — „ფახთაქორი“, „დინამო“ მ. — „ნეფთჩი“, „ჩერნომორეცი“ — ცსკა.

8. „ლოკომოტივი“ — „არარატი“.

9. „ფახთაქორი“ — „დნეპრი“, „ნეფთჩი“ — „ჩერნომორეცი“, „დინამო“ თბ. — „ზარია“, „დინამო“ კ. — „ტორპედო“, „ზენიტი“ — „ქაირათი“, „დინამო“ მ. — ცსკა.

10. „სპარტაკი“ — „შახტიორი“.

შენიშვნა: მატჩები შედგება პირველად დასახელებული გუნდების მინდვრებზე.

## ფეხბურთი

# ძირითადი პრობლემა — თავდასხმა

ლენინგრადის „ზენიტს“ ბოლო წლების მანძილზე წვრთნიდა ცნობილი სპეციალისტი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი გერმან ზონინი. ყველას ახსოვს მისი დიდი ტრიუმფი ვოროშილოვგრადის „ზარიაში“, რომელმაც ჩემპიონის ოქროს მედლები მოიპოვა. ზონინი „ზენიტთანაც“ ნაყოფიერად მუშაობდა, თუმცა, იმას ვერ მიაღწია, რაც „ზარიაში“ მუშაობისას შეძლო. დამთავრდა თუ არა შარშანდელი სეზონი, იგი ავადმყოფობის გამო გუნდს გამოეთხოვა.

„ზენიტის“ ახალი მწვრთნელი, პედაგოგიკურ მეცნიერებათა კანდიდატი სპორტის ოსტატი იური მოროზოვი ასევე ცნობილი სპეციალისტი გახლავთ. იგი ადრე საბჭოთა კავშირის ნაკრების ერთ-ერთი ხელმძღვანელი იყო.

„ზენიტი“ შეიკრიბა იანვრის პირველ რიცხვებში. მისი მზადება რამდენიმე ეტაპად დაიწყო: ვარჯიში სპორტის სასახლეში და „ზენიტის“ ზამთრის ბაზაზე; მონაწილეობა ტრადიციულ ტურნირში „ნედელიას“ პრიზზე; 20-დღიანი საწვრთნელი შეკრება დაგომისში, სოჭის ახლოს; დასკვნითი მზადება ლენინგრადში.

როგორ გამოიყურება გუნდის შემადგენლობა? გამოცდილ მეკარე ოლეინიკთან ერთად, რომელიც მწყობრში ჩადგა ტრავმის შემდეგ, საწვრთნელი მატჩების სერიაში თამაშობდა მეორე მეკარე დეგტიარიც. დაცვაში გოლუბევთან, ლოხოვთან, დეგტიარევთან და ბულავინთან (მან ტრავმა მოირჩინა) ერთად გამოჩნდნენ გამოცდილი ს. კუზნეცოვი, რომელიც კიევის „დინამოდან“ გადმოვიდა, აგრეთვე ლენინგრადის „დინამოს“ ყოფილი მოთამაშე ს. ბონდარენკო. ცალკეულ თამაშებში მონაწილეობდნენ ლაგოიდა (ადრე მასაც ტრავმა ჰქონდა) და იაკიმცევი, მოროზოვმა დაცვაში სხვადასხვა ვარიანტი გასინჯა. ახლა ძნელია იმაზე ლაპარაკი, როგორი იქნება დაცვის ძირითადი ოთხეული, მაგრამ ერთი რამ ცხადია — ეს რგოლი საკმაოდ საიმედოდ უნდა მივიჩნიოთ.

შუა ხაზში გუნდს ჰყავს დამინი (რომელსაც საჭიროების შემთხვევაში დაცვაშიც შეუძლია თამაში), რასპუ-

# სეზონი სამხრეთში იწყება

ტინი, მელნიკოვი, ორლოვი. ამავე რგოლში შეუძლია ადგილის დაკავება ქუთაისის „ტორპედოდან“ გადმოსულ 17 წლის შვეცოვსაც, რომელიც მონაწილეობდა ზამთრის ტრადიციულ ტურნირში. „ზენიტის“ ხელმძღვანელობას იგი პერსპექტიულ ფეხბურთელად მიაჩნია, თუმცა აზრიც გამოითქვა, რომ შვეცოვს ჯერჯერობით გაუჭირდება ძირითად შემადგენლობაში ასპარეზობა.

თავდასხმაში საკონტროლო მატჩებში სისტემატურად თამაშობენ კლემენტიევი და რედკოუსი. მასთან ერთად ცდიდნენ დებიუტანტებს („ზენიტის“ შემადგენლობაში ჩაირიცხა ლენინგრადელ ჭაბუკთა დიდი ჯგუფი). დღეისთვის თავდასხმის საკითხის მოგვარება გუნდის ძირითადი პრობლემა გახლავთ.

„ზენიტის“ მზადება მომავალი სეზონისთვის ძალზე სერიოზული ხასიათისაა, მოროზოვმა დიდი ყურადღება მიაქცია ტაქტიკას.

ერთი სიტყვით, ახალი მწვრთნელი კოლექტივში ახალი იმედებით მოვიდა. ცხადია, „ზენიტი“ შარშანდელზე უკეთ აპირებს თამაშს.

## არჩევანი ყველა რგოლში

ეს ადრეც მომხდარა: როდესაც მოსკოვის არმიელთა კოლექტივს უჭირს, უფროს მწვრთნელად მოუხმობენ ხოლმე წარსულში განთქმულ ფეხბურთელსა და ჰოკეისტს, სპორტის დამსახურებულ ოსტატს და საბჭოთა კავშირის დამსახურებულ მწვრთნელს ვსევოლოდ ბობროვს. შარშანდელი სეზონის შუაგულში, როდესაც ადრინდელმა ხელმძღვანელობამ იმედები ვერ გაამართლა, ცსკა-ს ისევ ბობროვი ჩაუდგა სათავეში. მას ეხმარებოდნენ სმირნოვი (უფროსი მწვრთნელი აღმზრდელობითს დარგში) და სპორტის ოსტატი აგაპოვი. მიმდინარე წლის დასაწყისში ბობროვის „შტაბი“ კიდევ უფრო გაფართოვდა — მწვრთნელებად მიიწვიეს წარსულში ამავე გუნდის კარგად ცნობილი მოთამაშეები: პშენიჩნიკოვი და კაპლიჩნი, რომლებმაც დაამთავრეს მწვრთნელთა უმაღლესი ორწლიანი სკოლა.

ცსკა-მ იანვრის პირველი რიცხვებიდან მოსკოვში, დახურულ მანეჟში დაიწყო ვარჯიში. დიდი ყურადღება ექცეოდა ფიზიკურ მომზადებას, ეწყობოდა კროსები, ვარჯიშები დათოვლილ მინდორზე. შემდეგ გუნდმა მონაწილეობა მიიღო მოსკოვის ტრადიციულ ტურნირში „ნედელიას“ პრიზზე, გამართა ხანგრძლივი საწვრთნელი შეკრება სამხრეთში.

გუნდიდან წავიდა ძირითადი შემადგენლობის 3 ფეხბურთელი. 31 წლის ასაკში თამაში დაამთავრა ცენტრალურმა თავდამსხმელმა ბ. კოპეიკინმა, რომელიც რამდენიმე სეზონის განმავლობაში გუნდის სნაიპერი იყო. სხვა კოლექტივებში გადავიდნენ ნახევარმცველი მოროზოვი და თავდამსხმელი დოროფეევი.

მეკარე ასტაპოვსკისთვის შარშანდელი სეზონი არ იყო მაინცდამაინც წარმატებითი. მას საბჭოთა კავშირის ნაკრების დატოვება მოუხდა, თუმცა 32 წლის ასტაპოვსკის კიდევ შეუძლია გაიუმჯობესოს ფორმა. მასთან ერთად ახალი სეზონისთვის ემზადებიან მოსკოვის „ლოკომოტივიდან“ გადმოსული 20 წლის ნოვიკოვი, რომელიც პერსპექტიულ მეკარედ ითვლება, და უკვე საკმაოდ გამოცდილი რადაევი.

დაცვის ხაზი საკმაოდ მტკიცედ ითვლება. ოლშანსკის, საუხს, შვეცოვს, კოლპოვსკის, ბიჩეკს, ვისოკიხს და ნიკოლაენკოს დაემატა ძლიერი მცველი ალექსანდროვი მოსკოვის „ლოკომოტივიდან“. ერთი სიტყვით, ბობროვს ამ რგოლში დიდი არჩევანი აქვს.

ძნელი სათქმელია, ვის მიეცემა უპირატესობა შუა ხაზში. ეს რგოლი ახლაც რჩება ყველაზე უფრო ცვალებადად. ბობროვი შარშანდელ მოთამაშეებთან ერთად ცდიდა ახალგაზრდა ფეხბურთელებს არმიელთა სხვადასხვა კოლექტივებიდან.

ასევე ბევრი პრობლემაა თავდასხმაშიც. თუ ჩესნოკოვი და ნაზარენკო უეჭველად ითამაშებენ, ჯერ კიდევ გადასაწყვეტია, ვინ იქნება მათი პარტნიორი. ბობროვმა მოიწვია სამი საკმაოდ ცნობილი თავდამსხმელი: 26 წლის პოგორელოვი ოდესის „ჩერნომორეციდან“, 20 წლის ბელინკოვი მოსკოვის „ტორპედოდან“ და 22 წლის კორობოჩკა სიმფეროპოლის „ტავრიიდან“. როგორც ჩანს, არმიელებს თავდასხმაშიც საკმარისი არჩევანი ექნებათ.

## საქართველოს ჩემპიონატი

### II ჯგუფი

#### I ზონა

„ქართლი“ (გორის რაიონი) — „გიგანტი“ (გამარჯვება) 6:0, „განთიადი“ (თბილისი) — ტაქსომოტორი № 3 (თბილისი) 0:1, „გარეჯი“ (საგარეჯო) — „გარისი“ (თეთრი წყარო) 3:1, „ჰერეთი“ (ლაგოდეხი) — „ბახტრიონი“ (ახმეტა) 2:0, „ვარძია“ (ასპინძა) — „იორი“ (თიანეთი) 4:2, „მესხეთი“ (ახალციხე) — „ცისკარი“ (სიღნაღი) 5:0, „სიონი“ (ბოლნისი) — „სამცხე“ (აწყური) 7:1, „განახლება“ (ადიგენი) — „თრიალეთი“ (წალკა) 4:0, „არაგვი“ (მცხეთა) — „აბული“ (ახალქალაქი) 0:1.

#### II ზონა

„სულორი“ (ვანი) — „მეშაქრე“ (აგარა) 2:0, „ბახმარო“ (ჩოხატაური) — „ნარუჯა“ (მახარაძე) 1:0, „ნაკადული“ (ჩხოროწყუ) — „სენაკი“ (ცხაკაია) 1:0, „მექალალდე“ (ზუგდიდი) — „ავტომობილისტი“ (აბაშა) 1:0, „შახტიორი“ (ტყვარჩელი) — „ავტომობილისტი“ (მაიაკოვსკი) 1:1, „გიგანტი“ (ლაითური) — „ავტომობილისტი“ (ბათუმი) 1:1, „ოჯალეში“ (ბანძა) — „სამგურალი“ (წყალტუბო) 1:0, „ქუშურა“ (ქობულეთი) — „ჩამომსხმელი“ (ბორჯომი) 1:1.

შენიშვნა: II ჯგუფის I ზონაში კასპის „განთიადის“ ნაცვლად დაშვებულია ახმეტის „ფიჩხოვანი“, რომელიც ითამაშებს კასპის „განთიადის“ კალენდრით. II ჯგუფის II ზონაში გათამაშებას გამოეთიშა ამბროლაურის „კოლმეურნე“. იმ დღეებში, როდესაც ამბროლაურელებს კალენდარული მატჩები ჰქონდათ დანიშნული, მეტოქეები დაისვენებენ.

• • •

**სურათზე:** რუსთავის „მეტალურგისა“ და თბილისის ფიზკულტურის ინსტიტუტის გუნდების შეხვედრის მომენტი.

რ. გაბრიჭიძის ფოტო.



## პირველი მატჩი

**ბუენოს-აირესში** გაიმართა ფეხბურთში საკონტინენტთაშორისო თასის პირველი მატჩი ადგილობრივ „ბოკა ხუნიორსსა“ და გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის ქალაქ მიონხენგლადბახის „ბორუსიას“ შორის.

ანგარიში მე-14 წუთზე გახსნა არგენტინელმა მასტრანჯელომ. გოლი ჰანესმა გაქვითა, 28-ე წუთზე კი ბონჰოფმა წინ გაიყვანა „ბორუსია“, რიბოლზის საპასუხო გოლის შემდეგ ანგარიში აღარ შეცვლილა — 2:2. განმეორებითი შეხვედრა 1 აგვისტოს გაიმართება მიონხენგლადბახში.

# სტარტზეა მეორე ლიგა

IV ზონა

**4 აპრილს** დაიწყება საკავშირო გათამაშება ფეხბურთში „ა“ კლასის II ლიგის ფეხბურთელთა გუნდებს შორის. საქართველოს 6 წარმომადგენელი იასპარეზებს IV ზონაში, რომლის შემადგენლობა ასეთია:

„რუბინი“ (ყაზანი)
„ზვეზდა“ (პერმი)
„შირაკი“ (ლენინაკანი)
„გურია“ (ლანჩხუთი)
„ტორპედო“ (ტოლიატი)
„დრუჟბა“ (იოშკარ-ოლა)
„ავტომობილისტი“ (ბაქო)
„დინამო“ (ზუგდიდი)
„დინამო“ (ბათუმი)
„დილა“ (გორი)
„ლოკომოტივი“ (სამტრედია)
ფიზკულტურის ინსტიტუტი (ერევანი)
„დინამო“ (კიროვი)
„დინამო“ (სოხუმი)
„გასტელო“ (უფა)
„ზენიტი“ (იჟევსკი)
„ტურბინა“ (ნაბერეჟნიე ჩელნი)
„პროგრესი“ (კიროვაბადი)
„არაზი“ (ნახიჩევანი)
„გაზოვიკი“ (ორენბურგი)
„ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი)
„კოტაიკი“ (აბოვიანი)
„ხაზარი“ (ლენქორანი)
„ყარაბაღი“ (სტეფანაკერტი)

**სამტრედიელმა** ფეხბურთის მოყვარულებმა თავიანთი გუნდის შარშანდელ სტატისტიკაში ასეთი არასასიამოვნო ფაქტი აღნიშნეს: „ლოკომოტივს“ მთელი გათამაშების მანძილზე სტუმრად არ მოუგია არც ერთი მატჩი. ასეთ პირობებში, რა თქმა უნდა, ძნელია სასურველი შედეგის მიღწევა. მდგომარეობა ნაწილობრივ იხსნა საკუთარმა მინდორმა, რომელიც სამტრედიელებმა სულ ორჯერ დატოვეს დამარცხებულებმა. საბოლოო შედეგი — მე-13 ადგილი გულშემატკივრებს, რასაკვირველია, არ აკმაყოფილებს.

4 აპრილს გაიხსნება ახალი საფეხბურთო სეზონი. სამტრედიელები თავიანთ მინდორზე მიიღებენ ძლიერ გუნდს პერმის „ზვეზდას“. როგორ ემზადებოდნენ რკინიგზელი ფეხბურთელები სეზონისთვის? ვარჯიში დაიწყეს იანვარში „ლოკომოტივის“ სპორტდარბაზში,

# ახალ სეზონში მეტი შემართებით

შემდეგ გუნდი გამოვიდა ღია ცის ქვეშ, მერე კი გაემგზავრა მახინჯაურში, სადაც მარტის ბოლომდე დაჰყოფს. კოლექტივში მნიშვნელოვანი ცვლილებებია: უფროს მწვრთნელად რ. ძოძუაშვილის ნაცვლად მუშაობს სპორტის ოსტატი ჯ. ხაჟალია. როგორც გუნდის უფროსმა ქ. კოხრეიძემ განაცხადა, „ლოკომოტივის“ შემადგენლობაში აღარ გამოვლენ ჩატოევი, მჭედლიძე, ხუცურაული, მელაძე, კოხრეიძე, ბერძენიშვილი, ჯორბენაძე, ტრავმის გამო ვერ ვარჯიშობს ტეხოვი, ხოლო კაპანაძემ გუნდში მეორე მწვრთნელის პოსტი დაიკავა. სამაგიეროდ, ლოკომოტიველებმა მიიღეს შევსება: აღეიშვილი, ჩომახიძე, დარჯანია, ჩახუნაშვილი, ნუცუბიძე, ვოლკოვი, მიქაძე.

წინა წლებთან შედარებით „ლოკომოტივს“ უკეთესი პირობები აქვს წვრთნისა და დასვენებისთვის. მთლიანად გუნდის განკარგულებაში გადაეცა „ლოკომოტივის“ სტადიონის სპორტდარბაზი, მიმდინარეობს საწვრთნელი მოედნის კეთილმოწყობის სამუშაოები დიდი ჯიხაიშის ტექნიკუმის ბაზაზე. სამტრედიის ხელმძღვანელი ორგანოები, სპორტის მესვეურები ყველა პირობას უქმნიან ფეხბურთელებს, რათა მათ ახალ სეზონში მეტი შემართებით იბრძოლონ და კმაყოფილება მოუტანონ თავიანთ ქომაგებს ენერგიული, მონდომებული თამაშით.

მ. ელიზბარაშვილი.



კიშინიოვის საბავშვო ბაღ „ბერიოზკაში" ყოველი დღე იწყება გამამხნევებელი ვარჯიშით, რომელიც მუსიკის ქვეშ, მხიარული თამაშის სახით ტარდება. ქუჩაში კი ნორჩებს ელის შესანიშნავად აღჭურვილი საბავშვო მოედანი, სადაც ისინი მოხერხებულობასა და სითამამეში ეჯიბრებიან ერთმანეთს.

საქდესის ფოტო.

## საბჭოთა მეურნეობის სპორტსმენთა ახალსახლობა

ლატვიაში ერთ-ერთი უდიდესი სპორტის სახლი გაიხსნა საბჭოთა მეურნეობა „პროგრესში", სადაც მოქმედებს რესპუბლიკაში პირველი სასოფლო სპორტული კლუბი. მასში 840 ფიზკულტურელია გაერთიანებული და ყველა მათგანი მშდ-ის ნიშნოსანია.

სათამაშო დარბაზში (36×18 მ) პირველად იასპარეზეს კალათბურთელებმა. მეურნეობის გუნდი რესპუბლიკის ჩემპიონატში მონაწილეობს. სწორედ აქ, დაბა იეცავაში აიდგეს ფეხი ტტტ-ის ოსტატთა გუნდის ძირითადი შემადგენლობის წევრებმა — დებმა მ. სოლენიეცემ და მ. სკანაპემ. ახალგაზრდებში ასევე პოპულარულია მძლეოსნობა, მაგიდის ჩოგბურთი და სათხილამურო რბოლები. მეურნეობის სპარტაკიადის პროგრამაში შეტანილია სპორტის 15 სახეობა.

— ამჟამად რესპუბლიკის სასოფლო კოლექტივებში მოქმედებს 44 დიდი სპორტული დარბაზი, — საქდესის კორესპონდენტს უთხრა სასოფლო სპორტსაზოგადოება „ვარპას" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარემ ი. რამუტმა, — მატერიალური ბაზის გაფართოება ხელს უწყობს ფიზკულტურელთა რიგების განუხრელ ზრდას. ახლა სპორტში ვარჯიშობს ლატვიის სოფლის ყოველი მესამე მუშაკი.

მ. კეხრისი,
საქდესის კორ.

დაბა იეცავა
ლატვიის სსრ.

## ვ. კალანდაძე



ჩვენი რესპუბლიკის სპორტულმა საზოგადოებრიობამ დიდი დანაკლისი განიცადა. გარდაიცვალა აფხაზეთის ასსრ დამსახურებული მასწავლებელი, ფიზკულტურული მოძრაობის თვალსაჩინო ორგანიზატორი ვახტანგ ალექსანდრეს ძე კალანდაძე, რომელიც 40 წლის მანძილზე ერთგულად ემსახურებოდა ახალგაზრდობის ფიზიკური აღზრდის, სპორტული კადრების მომზადების საქმეს.

ვ. კალანდაძე დაიბადა 1910 წელს თბილისში. 1932-34 წლებში მსახურობდა საბჭოთა არმიის რიგებში, ხოლო 1938 წელს დაამთავრა ლენინგრადის ლესგაფტის სახელობის ფიზიკური კულტურის ინსტიტუტი. შრომითი საქმიანობა მან ჯერ კიდევ სტუდენტმა დაიწყო — ტანვარჯიშის მწვრთნელად ფრუნზეს სახელობის სამხედრო სასწავლებელში, 1938-41 წლებში კი — საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის ტანვარჯიშის კათედრას ხელმძღვანელობდა. 1941-45 წლებში უფროსი ლეიტენანტი ვ. კალანდაძე სამშობლოს დამცველთა რიგებში იბრძვის დიდი სამამულო ომის ფრონტებზე.

ომის დამთავრების შემდეგ ვ. კალანდაძე კვლავ ტანვარჯიშის კათედრას ხელმძღვანელობს საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტში, ხოლო 1949 წლიდან გადადის სოხუმში, გორკის სახელობის სახელმწიფო პედაგოგიურ ინსტიტუტში ფიზიკური აღზრდის ფაკულტეტის ჩამოსაყალიბებლად, სადაც მუშაობს ჯერ დეკანის, შემდეგ ფიზიკური აღზრდის თეორიისა და მეთოდიკის კათედრის უფროსი მასწავლებლის თანამდებობაზე.

პედაგოგიურ საქმიანობასთან ერთად ვ. კალანდაძე ნაყოფიერად მუშაობდა მწვრთნელად. სოხუმის ბავშვთა და მოზარდთა სპორტულ სკოლაში მან აღზარდა ნორჩ ტანმოვარჯიშეთა მთელი პლეადა. იგი იყო, აგრეთვე, მასობრივი სპორტულ-ტანვარჯიშული გამოსვლებისა და ფიზკულტურელთა პარადების უნარიანი ორგანიზატორი.

ვ. კალანდაძე დაჯილდოებული იყო მთავრობის რამდენიმე მედლით. შესანიშნავი პედაგოგისა და სპორტის დიდი ენთუზიასტის, კარგი აღმზრდელის, ღირსეული მოქალაქის, ერთგული ამხანაგის სახელი სამუდამოდ დარჩება მისი მეგობრებისა და მოწაფეების ხსოვნაში.

ამხანაგების ჯგუფი.

## წიგნის თარო

### „სხეულის წონა — სპორტული ფორმის მაჩვენებელი"

ამ სიტყვებს მიღმა იმალება სპორტსმენის ის დაუღალავი და მომქანცავი მუშაობა, რომელიც ზედმეტი წონის დაკლებასთანაა დაკავშირებული.

კუს ტბის მიდამოებში თუ სხვა ადგილებში ალბათ შეგინიშნავთ ეულად თუ ჯგუფურად მორბენალი სპორტსმენები, რომლებიც, ამინდის მიუხედავად, ყოველთვის თბილად არიან ჩაცმული. ეს საჭიროა იმისთვის, რომ სპორტსმენმა თავისი წონა „დაიჭიროს" ე. წ. ფიზიკური მეთოდით. წონის დაკლების ეს მეთოდი ერთ-ერთი საუკეთესო და რეკომენდებული საშუალებაა, ვინაიდან მისი გამოყენება შეუძლია ყველას, მათ შორის არასპეციალისტებსაც. მაგრამ, არსებობს სხეულის წონის ხელოვნური დაკლების სხვა საშუალებებიც, რომლებიც გარკვეულ ცოდნასა და გამოცდილებას მოითხოვს.

ამ საკითხებთან დაკავშირებით საქართველოს ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტმა გამოსცა ბროშურა „სხეულის წონა — სპორტული ფორმის მაჩვენებელი", რომლის ავტორები არიან: ბიოლოგიურ მეცნიერებათა კანდიდატი შ. ჩახნაშვილი, ფიზკულტურის ინსტიტუტის ჭიდაობის კათედრის უფროსი მასწავლებელი მ. ჩაჩანაშვილი, მეცნიერმუშაკი ა. ჩუთლაშვილი და სპორტის დამსახურებული ოსტატი, მსოფლიოს ექს-ჩემპიონი გ. საღარაძე.

ბროშურაში განხილულია წონის დაკლების ყველა ცნობილი საშუალება, მათი გამოყენების წესები, ამ პროცესის დადებითი და უარყოფითი გავლენა ორგანიზმზე.

ბროშურა დიდად დააინტერესებს არა მხოლოდ მოჭიდავეებს, მოკრივეებსა და ძალოსნებს, არამედ სპორტის სხვა სახეობის წარმომადგენლებსაც.

აღსანიშნავია ისიც, რომ წონის დაკლების საშუალებების გამოყენება შეიძლება როგორც სპორტსმენთათვის, ისე მშრომელთა ფართო მასებისთვის.

გ. ბრეგვაძე,
საქართველოს ფიზკულტურის ინსტიტუტის სტუდენტი, სპორტის ოსტატი.

## მხოლოდ „წმინდა გამარჯვება"

სპორტული კომენტატორები, ჟურნალისტები ხშირად არასწორად იყენებენ ორ სიტყვას — „წმინდა", სუფთა" და გაზეთების ფურცლებზე, ტელევიზორში ზოგჯერ სინონიმებად წარმოგვიდგენენ მათ აი ასე: „სუფთა გამარჯვება", ე. ი. „წმინდა გამარჯვება".

„წმინდა" და „სუფთა", მართალია, სინონიმური სიტყვებია, მაგრამ მათ ხშირად ერთმანეთის მაგივრად ვერ გამოვიყენებთ. ძველმა — სალიტერატურო ქართულმა „სუფთა" არ იცის. V-XI საუკუნეებში „წმინდა" იხმარებოდა სამი მნიშვნელობით: წმინდანი, წმინდა და სუფთა. რაც შეეხება „სუფთას" იგი მოგვიანებით შემოვიდა ქართულ სალიტერატურო ენაში სპარსულიდან. ეს სიტყვა არ იცის ძველმა ქართულმა და არც შოთა რუსთაველის პოემაშია ნახსენები. ცნობილი ლექსიკოგრაფი ნიკო ჩუბინაშვილი საბაზე დაყრდნობით მშვენივრად ასხვავებს წმინდა-სუფთას სემანტიკას და ზუსტად მიუთითებს, თუ როდის რომელი უნდა ვიხმაროთ (იხ. მისი „ქართული ლექსიკონი", გვ. 453).

ქართულ სალიტერატურო ენაში ამ ორი სიტყვის ხმარებაში დაშვებულ შეცდომებს პირველად აკადემიკოსმა ვ. თოფურიამ მიაქცია ყურადღება. მისი მართებული მოსაზრებით სუფთა არის ის, რაც არაა ბინძური, ჭუჭყიანი, რასაც მტვერი, ტალახი, ჭუჭყი, ქონი, ჟანგი და მსგავსი რამ არა აქვს და, თუ აქვს, რეცხვით, წმენდით მოსცილდება.

იმავე მკვლევარის თქმით, წმინდაა უცოდველი, ფაქიზი, შეურყვნელი, კამკამა, დარჩეული, დარჩეული: მაგალითად წმინდა ადამიანი (ზნით, ქცევით, საქმიანობით), წმინდა ადგილი (ნაკურთხი, სალოცავი ადგილი), წმინდა (შეურეველი) ღვინო, წმინდა სანთელი, წმინდა წყალი...

თუ საანალიზო სიტყვების („წმინდა", „სუფთა") სემანტიკას მივიღებთ მხედველობაში, მაშინ სალიტერატურო ენის თვალსაზრისით სწორი ფორმები იქნება: წმინდა ალაგი, წმინდა გული, წმინდა გამარჯვება, წმინდა მოგება, წმინდა ენა, წმინდა შუშანიკ..., ხოლო მეორე მხრივ: სუფთა ეზო, სუფთა ლოგინი, სუფთა იატაკი, სუფთა წერა, სუფთა ხალათი, სუფთა ხელი და ა. შ.

ჩვენს სპორტულ კომენტატორებს, ტელევიზიისა და რადიოს დიქტორებს, ჟურნალ-გაზეთების მუშაკებს, სამწუხაროდ, სუფთა და წმინდა აბსოლუტური სინონიმები ჰგონიათ და განვითარების ნებისმიერ საფეხურზე მიაჩნიათ ისეთ ფორმებად, რომლებიც გარკვეული თვალსაზრისით შეიძლება ერთიმეორის ტოლფასად გავიგოთ, მაგრამ, როგორც ზემოაღნიშნულმა ამ ორი სიტყვის დეფინიციამ დაგვანახა, თავიანთი სემანტიკით, ან, როგორც ლინგვისტები იტყვიან, ენობრივი ანალიზის სემანტიკურ დონეზე ეს ორი ზგერობრივად განსხვავებული ფორმა ფუნქციონალურად არაა ტოლფასი.

ამგვარად, ენობრივად სწორია — „წმინდა გამარჯვება", „წმინდა მოგება" და არა „სუფთა გამარჯვება", „სუფთა მოგება" და ასე უნდა იხმაროს ყველამ.

რ. შამელაშვილი,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი.

## დედამიწის ირგვლივ

ვარშავა, 23 მარტი. ვარშაველი კრისტინა ჰოინოვსკა-ლისკევიჩი პირველი ქალია მსოფლიოში, რომელმაც აფრიანი ნავით მარტომ იმოგზაურა დედამიწის გარშემო. მან ატლანტიკის, წყნარი და ინდოეთის ოკეანეების გავლით 30 ათასი მილი გაიარა და ამ დღეებში დაამთავრა დედამიწის შემოვლა. მამაცმა იახტსმენმა ქალმა სტარტი 1976 წლის 28 მარტს ლას-პალმასში აიღო.

პანი კრისტინა ზღვისპირა ქალაქში არ დაბადებულა, მაგრამ 1954 წელს იგი ჩაირიცხა გდანის პოლიტექნიკურ ინსტიტუტში გემთსაშენებელ ფაკულტეტზე და მიღებულ იქნა სტუდენტურ საზღვაო კლუბში. ორი წლის განმავლობაში კრისტინამ ათჯერ შეასრულა მრავალდღიანი გასვლა ზღვაში იახტით, ბრწყინვალედ ჩააბარა სპეციალური გამოცდები და მიიღო შორეული ცურვის იახტის კაპიტნის დიპლომი.

„კონრად-320"-ის კლასის იახტების კონსტრუქტორთა შორის იყო ვაცლავ ლისკევიჩი — შემდგომში კრისტინას მეუღლე. კრისტინამ ამ კლასის იახტებით ვაჟთა და ქალთა ეკიპაჟებთან ერთად 11000-მდე მილი გაიარა. წლების განმავლობაში მუშაობდა ვაცლავი ისეთი იახტის (შემდეგში მას „მაზურეკი" დაარქვეს) კონსტრუქციის სრულყოფაზე, რომლითაც შესაძლებელი იქნებოდა მსოფლიოს ირგვლივ მოგზაურობა.

დედამიწის გარშემო წრის შეკვრით მამაც იახტსმენს ჯერ არ დაუმთავრებია ლაშქრობა — მან კიდევ უნდა გაიაროს 1800 მილი ლას-პალმასამდე, სადაც კვლავ დაადგამს ფეხს ხმელეთზე.

— ახლა, როცა ძირითადი მოგზაურობა უკან დარჩა, თავს ბედნიერად ვგრძნობ და სამშობლოში დაბრუნებაზე, ახლობლებთან, მეგობრებთან შეხვედრაზე ვოცნებობ, — თქვა კრისტინამ პოლონელ ჟურნალისტებთან საუბარში.

პოლონელი იახტსმენის ორი მეტოქე — ინგლისელი ნოემი ჯეიმსი და ფრანგი ბრიჯიტ უდრი განაგრძობენ ცურვას.

## მხიარული ფანჯრით

უსიტყვოდ.



ნ. ქელეხსაშვილის ნახატი.

## მძლეოსნობა

### მეტოქეთა სარეკორდო სიმაღლეებზე

ნიუ იორკი. დახურულ დარბაზებში მსოფლიოს ექს-რეკორდსმენმა, ამერიკელმა სიმაღლეზე მხტომელმა ფრანკლინ ჯეკობსმა თქვა, რომ საბჭოთა სპორტსმენმა ვ. იაშჩენკომ, რომელმაც მსოფლიო მიღწევის ჭერი 235 სმ-მდე ასწია, „მას სამსახური გაუწია".

„ამ შედეგმა ფრთები შემასხა, — განუცხადა მან პრესის წარმომადგენლებს სან-ხოსეში (კალიფორნია) ღია ცის ქვეშ თავის პირველ შეჯიბრებაზე წასვლის წინ, — სეზონის დასაწყისში 232 სმ-ის გადალახვის შემდეგ განცხრომას მივეცი თავი. საბჭოთა სპორტსმენის მიღწევა კი კარგი სტიმული გახდა ჩემთვის — ახლა მე ვეცდები მის დამხობას".

20 წლის ჯეკობსს იმედი აქვს, რომ ზაფხულში იაშჩენკოს შეხვდება. „ჩვენმა მეტოქეობამ შეიძლება მსოფლიო რეკორდი შვას", — ასე ფიქრობს ამერიკელი მხტომელი. (საქდესი).

რედაქტორი ა. გასილაია.

გაზეთი გამოდის ყოველდღე, გარდა ორშაბათისა და კვირისა. რედაქციის მისამართი: 380096 თბილისი, ლენინის ქ. № 14 დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო".
ტელეფონები: რედაქტორი — 99 66-14 93 97-60; რედაქტორის მოადგილე — 99-66-47; პასუხისმგებელი მდივანი — 93 97-62; განყოფილებები: ფეხბურთის — 99-81-71, 93-97-56; მასობრივ ფიზკულტურული მუშაობის — 93-97 55; სპორტის პროპაგანდის — 93-97-57; მოსწავლე და ხოლოს ახალგაზრდობის — 93-97-53; ქადრაკის — 93-97-26; სამხატვრო — 93 97-52; წერილების — 93-97-54; კორექტორები — 93-97-49; გამომშვები — 93 93-81; ფოტოლაბორატორია — 93-97-58; მემანქანეები — 93-97-51.

ИНДЕКС 66448
საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. თბილისი, ლენინის ქ. № 14.
უე 02019